# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 255

„22" დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, ვლადიმერ ვორონინის ქუჩისთვის ვახტანგ შანავას სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „პ"ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) დიდუბის რაიონში, ვლადიმერ ვორონინის ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული კაპიტან ვახტანგ შანავას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X_482661.5202
Y_ 4619412.4782
ვახტანგ შანავას ქუჩა
X_482726.1857
Y_ 4619284.1785